თბილისს, ჯიმ სტარჯესთან ერთად, ორი ვარსკვლავი სტუმრობს

ავტორი **საბა მაქუტაძე** — 8 მაისი, 2019 რუბრიკა **სიახლეები**, **ფილმები**

რამდენიმე დღის წინ გაგახარეთ და გითხარით, რომ რომანტიკული კომედიის One Day-ს ვარსკვლავი, ჯიმ სტარჯესი თბილისში ჩამოვიდა.

როგორც დაგპირდით, სტარჯესის თბილისში ვიზიტს ნაბიჯ-ნაბიჯ მივყვებით და დღეს რამდენიმე კარგ ამბავსაც გაცნობებთ. ერთ-ერთი კი ის არის, რომ შეგვიძლია კიდევ ერთხელ დავტკბეთ თბილისში გადაღბული ჰოლივუდის ვარსკვლავის ორი ახალი ფოტოთი.

როგორც ხედავთ, ფოტოზე ის კვლავ რეჟისორ გიგა აგლაძესთან ერთად არის გადაღებული.

მეორე ფოტოში კი თავიდან ბოლომდე შეგვიძლია ჯიმ სტარჯესის დიდებულება ვიხილოთ და დავრწმუნდეთ იმაშიც, რომ ის თბილისს განსაკუთრებულად უხდება.

რაც შეეხება მეორე კარგ ამბავს, როგორც აღმოჩნდა, ის ერთადერთი ვარსკვლავი არ არის, რომელიც დედაქალაქს, დიდი ალბათობით, სამუშაო ვიზიტით ეწვია.

ლონე შერფიგის ფილმის ვარსკვლავთან ერთად, თბილისს ანტონია კემპბელი და რონა მიტრაც სტუმრობენ.

ერთად აქვს გადაღებული, რაც თითქმის ყველანაირ კითხვის ნიშანს აქრობს და დანამდვილებით შეგვიძლია იმის თქმა, რომ ჯიმი, ანტონია და რონა აქ ფილმის გადასაღებად ჩამოვიდნენ.

ანტონია კემპბელი ირლანდიელი მსახიობი და ყოფილი დიზაინერია. მისი, ამ ეტაპზე ყველაზე ცნობილი როლი კი ფილმ 3096 Days-ში შესრულებული ნატაშა კამპუშის პერსონაჟია.

რაც შეეხება რონა მიტრას, ბრიტანელი მსახიობს არაერთ ცნობილ ფილმსა თუ სერიალში აქვს მონაწლეობა მიღებული, მათ შორის არის CW-ის სერიალი Supergirl.

გიგა აგლაძე | ჯიმ სტარჯესი

TBILISI WILL HOST TWO STARS TOGETHER WITH JIM STURGESS

Author – Saba Machutidze – 8th of May, 2019 section News, Films

A few days ago we shared good news with you announcing that the star of "One Day", Jim Sturgess is in Georgia.

As we promised we are following Jim's visit in Georgia step by step and will share some other good news with you today. One of them is that we can share two new photos of the star which were shot during the film shooting in Tbilisi.

As you can see in the photo he is together with the film director Giga Agladze.

In the second photo we can take pleasure from his brilliance and see how good he looks in Tbilisi.

The second good news is that most probably he is not the only one star visiting Georgia with a working mission. Together with Lone Scherfig's film star, Tbilisi will host Antonia Campbell and Rhona Mitra.

As it was in Sturgess's case these two stars are with Giga Agladze in the photos that covers all the questions and we can confirm that Jim, Antonia and Rhona have arrived for the purpose of starring in the film.

Antonia Campbell is an Irish actress and former designer. Her most famous role at this stage is a character of Natasha Kampusch from the film 3096 Days.

As for Rhona Mitra, the British actress has had roles in several famous films and TV series, including CW-s TV series – Super girl.